92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №3 (7150) 2 თებერვალი 2026 წელი

წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში

იმედით, რწმენით, სიყვარულით, ქვეყნის აღმავლობის, განვითარებისა და უკეთესი ცხოვრების მოლოდინით შეხვდა თერჯოლის, იმერეთის ამ ულამაზესი კუთხის მოსახლეობა ახალ, 2026 წელს. დიახ, 2026 წელი განვლილ 2025 წელზე გაცილებით უფრო კარგი უნდა იყოს, ასეთია ხალხის ნება და სურვილი!

უამრავი ადამიანი შეიკრიბა 13 იანვარს, ძველით წინა საახალწლო კონცერტზე კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში. საზოგადოების წარმომადგენლებთან, რიგით მოქალაქეებთან ერთად კონცერტზე მოვიდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. ბატონები: **მანუჩარ რობაქიძე, სოსო ჩაფიჩაძე, მირზა ქოჩიაშვილი, ზვიად ბაზაძე, მაკა ასათიანი** და სხვები.

შეკრებილთ ღონისძიების წამყვანი მიესალმა, ახალი წლისა და შობის დღესასწაულები მიულოცა და ლამაზი კონცერტი დააანონსა.

☞8

ახალი წელი ახალი ბიუჯეტით—ზრდის პერსპექტივებითა და ახალი იმედებით

საბიუჯეტო საკითხები ჩვენი გაზეთის მუდმივი ყურადღების და განსაკუთრებული ინტერესების მნიშვნელობის თემების რიცხვშია. „თერჯოლა“ პერიოდულად აქვეყნებს ამ მხრივ სხვადასხვა ინფორმაციებს, რაც მოსახლეობისა და საზოგადოებისათვის არამარტო უბრალო ცნობებია, არამედ სურათი, რაც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გაწეულ მუშაობას აფასებს, პასუხს გვცემს კითხვაზე—რა ტემპით მივდივართ წინ თუ უკან ვდგამთ ნაბიჯებს.

☞2



მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები დამტკიცებულია

14 იანვარს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები. ასეთი სულ 19 პროგრამაა. მათ გამოქვეყნებას ჩვენ დღევანდელი ნომრიდან ვიწყებთ. (გვ. 3, 5, 7).

„ანგელოზნი გალობენ და ლხინის ზარებს რეკენ“... „სიზმარი—ზღაპრად ქცეული“

☞4

წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში

ახალი წელი ახალი ბიუჯეტით— ზრდის პერსპექტივებითა და ახალი იმედებით

1☞

მოკლედ, გასული საბიუჯეტო წლისა და ახალი, 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის თავდაპირველი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 20,5 მლნ ლარის მოცულობით. წლის ფაქტიურმა შემოსავლებმა და ხარჯებმა კი თითქმის 5 მლნ ლარით მეტი შეადგინა, რაც უპირობოდ კარგი მაჩვენებელია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი, საკრებულოს ჯერ კიდევ გასული წლის 24 დეკემბრის სხდომაზე დამტკიცდა და მისი მოცულობა 23,3 მლნ. ლარით განისაზღვრა. ეს მოცულობა გასული წლის თავდაპირველად დაგეგმილი ბიუჯეტის მოცულობას 2,8 მლნ ლარით აღემატება, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა, მაგრამ მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის არასაკმარისი. სწორედ ამიტომ, გასულ თვეში რაიონის ხელმძღვანელობამ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ნაყოფიერად იმუშავა ახლადდამტკიცებული ბიუჯეტის ზრდისათვის.

ჩვენთან საუბარში მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა **ავთანდილ ურიადმყოფელმა** აღნიშნა: **„ფინანსთა სამინისტროსთან ერთობლივად მიღწეული იქნა შეთანხმება—2026 წლის ბიუჯეტის კიდევ 3,0 მლნ-ით გაზრდაზე. ამრიგად, მას შემდეგ, რაც საკრებულო ახალ ბიუჯეტს კიდევ ამ 3,0 მლნ ლარით მეტს დაამტკიცებს, მისი მოცულობა გახდება 26,3 მლნ ანუ თითქმის მთელი 6,0 მლნ-ით მეტი ვიდრე 2025 წლის თავდაპირველი ბიუჯეტი. ეს ძალიან კარგია და ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ფინანსთა სამინისტროს მიმართ, მაგრამ მუნიციპალიტეტის საჭიროებებისათვის ამ ეტაპზე 28,0 მლნ. ლარამდე გვჭირდება ანუ დამატებით, 1,7 მლნ ლარის მოზიდვა გადაუდებლად აუცილებელია, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდება.**

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ფინანსთა სამინისტროს თანადგომით და ადგილობრივი რესურსით ამას შევძლებთ და საფრთხეს არ შევუქმნით საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულებას და გაწეული ხარჯების დაფინანსებას“.

სოციალური პროგრამები

ჩვენ ვთხოვეთ მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს დიანა ფოცხვერაშვილს, რომ მოკლედ შეეჯამებინა 2025 წელში ამ მხრივ გაწეული მუშაობა.

დიანა ფოცხვერაშვილი: „ვიდრე 2025 წლის შედეგებზე ვისაუბრებ აღვნიშნავ, რომ 2026 წელს სოციალური პროგრამებისათვის დამტკიცებულია 1 700,0 ათასი ლარი, რაც 150,0 ლარით მეტია 2025 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ მოცულობაზე. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა თქვენს გაზეთს, რომ აქვეყნებთ ამ პროგრამების პირობებს, რაც ძალიან აინტერესებს ჩვენს მოსახლეობას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წელში მოქმედებდა 17 სოციალური პროგრამა, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური. სოციალური პროგრამებით ისარგებლა 4840 ოჯახმა, რისთვისაც გაიხარჯა 1 735 921 ლარი. სოციალური პროგრამების ბიუჯეტი წლის დასაწყისისათვის იყო 1 550 000 ლარი, რომელმაც რამდენჯერმე განიცადა ცვლილება და წლის ბოლოსთვის ეს თანხა შეადგენდა 1 740 000 ლარს. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ერთ მიმართულებაზე—ჩვენს სამსახურში 2025 წელში შემოსული განცხადებების დიდი ნაწილი არის ერთჯერადი ფინანსური დახმარების თხოვნით, რომლის ბიუჯეტი წლის დასაწყისისთვის იყო 152 000 ლარი, პროგრამაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება და გაიზარდა, საკრებულოს განკარგულებებით პროგრამის ბიუჯეტი წლის ბოლოსთვის გახდა 252 800 ლარი, აღნიშნული პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვა და სხვა კატეგორიის ოჯახებს: იშვიათი და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა, ობოლ ბავშვთა, სამ და მეტ შვილიანი სოციალურად დაუცველ, ვეტერანთა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა, ქრონიკული დაავადების მქონე პირთა, დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებულ ბენეფიციართა ოჯახებს. სულ დახმარება გაეწია 1607 ოჯახს, რისთვისაც პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად იქნა გახარჯული.

გასულ წელს ჩვენ შევძელით, რომ პრაქტიკულად ყველა პროგრამის ხაზით დაგვეფინანსებინა ყველა ის მთხოვნელი, რომელიც ბენეფიციარობისათვის დამტკიცებულ პირობებს აკმაყოფილებდა.

აღსანიშნავია, რომ თერჯოლის მერიისა და სოციალური სამსახურის ორგანიზებით 2025 წელში მუნიციპალიტეტში რამდენჯერმე ჩატარდა სხვადასხვა უფასო სამედიცინო კვლევები.

ჯანდაცვისა და სოციალურ საქმეთა სამსახურმა 2025 წლის განმავლობაში დიდი შრომა გასწია დავრდომილთა ეტლით უზრუნველყოფის საქმეში, ინვალიდის ეტლი გადაეცა 10 ბენეფიციარს, აღნიშნულ საკითხში დახმარება გაგვიწია არასამთავრობო ორგანიზაცია: „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“.

იმედია, ჩვენი მუშაობა არა ნაკლებ ნაყოფიერი და დაძაბული იქნება მიმდინარე წელსაც, რაც კარგად გამოჩნდება კმაყოფილი ბენეფიციარების შესაბამისი სიმრავლით“.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის 6 სახლი აშენდება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ხელმძღვანელობით, მერიის საკონფერენციო დარბაზში, სახლდაზიანების სოციალური პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა.

მერის, მანუჩარ რობაქიძის თქმით, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის 6 სახლი აშენდება.

კომისიამ პროგრამის ბენეფიციარები კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე შეარჩია (ძირითადად მრავალშვილიანი ოჯახები). მშენებლობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

სახლდაზიანების სოციალური პროგრამა თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან დღემდე მოქმედებს და ახალი საცხოვრებლით სულ სოციალურად დაუცველი 49 ოჯახია დაკმაყოფილებული.

სკოლამდელ დაწესებულებებში

ახალ წელს განსაკუთრებული სიხარულით და მოლოდინით შეხვდნენ ჩვენი პატარები. დიდები ხომ ყველაფერს აკეთებენ ერთი მეორეზე ლამაზი ახალი წელი ჰქონდეს მათ შვილებს, მომავალში საქართველოს რომ ჩაიბარებენ და თავიანთ წვლილს შეიტანენ მის შემდგომ აღმავლობაში.

ყველა ოჯახი ცდილობს შესაძლებლობის მიხედვით ლამაზად მორთული ნაძვის ხით, საჩუქრებით და ტკბილეულის მრავალფეროვნებით გაახაროს თავისი პატარა. ასევეა მოწოდებული საბავშვო ბაღები, სადაც საახალწლო ღონისძიებისათვის სამზადისი ნამდვილ დიდ ზეიმად იქცევა ხოლმე. აქ, პატარებთან ერთად, აღმზრდელები, ბაგა-ბაღის მთლიანი კოლექტივი და მშობლებიც ზეიმობენ ...

წელს თერჯოლის სკოლამდელ დაწესებულებებში, ანუ საბავშვო ბაგა-ბაღებში საახალწლო კარნავალები კიდევ უფრო შთამბეჭდავი და თითოეული აღსაზრდელისათვის სურვილისა და ოცნების ახდენისა იყო... იყო ათასფერად მორთული დარბაზები, ნაძვის ხეები, ლამაზი პროგრამები, სადღესასწაულოდ შემოსილი პატარები, რომლებსაც კარგად გამოუვიდათ ცეკვა, სიმღერა თუ ინსცენირებები, გაცოცხლებული საყვარელი ზღაპრის გმირები, იყო მძიმე „ხურჯინით“ და საჩუქრებით ხელდამშვენებული და პატარებთან ერთად ამღერებულ-აცეკვებული

თოვლის ბაბუა და მთავარი, პატარების სიხარულით გაბრწყინებული თვალები...

საჯარო სკოლებში

განსაკუთრებული სიხარული და აქტიურობა იყო საახალწლო დღეებში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. ახალი წლის საკარნავალო სამზადისი დეკემბრიდან მოყოლებული მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ერთ-ერთი საყვარელი და მნიშვნელოვანი იყო, ამ განწყობით ყველა სკოლამ სათანადოდ აღნიშნა შობა-ახალი წელი. იყო ლამაზად მორთული სკოლის ინტერიერები, ნაძვის ხეები, საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, რომელშიც ჩართული იყვნენ პედაგოგები და რიგ შემთხვევაში მშობლებიც. საკარნავალო სამოსელი, საახალწლო პროგრამები, ცეკვა-სიმღერა, საახალწლო და საშობაო სიმღერები, თემატური ნომრები, თოვლის ბაბუა და მხიარულება, იყო მილოცვები ამაღელვებელი და გულწრფელი ურთიერთობები...

საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში

24 დეკემბერს საახალწლო-საშობაო ღონისძიება გაიმართა თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში. საახალწლო ნაძვის ხესთან პატარებმა, ბიბლიოთეკის მკითხველებმა ლამაზი საღამო გამართეს. წაიკითხეს საახალწლო-საშობაო ლექსები, იმღერეს, იცეკვეს და თავიანთი ხელოვნებით ლამაზი წუთებით უმასპინძლეს მაყურებლებს.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან ერთად შეუერთდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა დამდეგი ახალი წლისა და შობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა ღონისძიების მონაწილეებს, ასევე ბიბლიოთეკის მკითხველებს და შეკრებილ სტუმრებს.

მისალოცი სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე: მაკა ასათიანმა, მერიის კულტურის განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა; შორენა ბოჭორიშვილმა, სახელოვნებო განათლების ცენტრის უფროსის მოადგილემ; რუსუდან ნიშნიანიძემ, საბავშვო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა; ვალერი კუბლაშვილმა, სამუსიკო სკოლის დირექტორმა; ნინო ხუჯაძემ, მერიის ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელმა.

ნორჩმა მკითხველებმა მერიისაგან საახალწლო საჩუქრებიც მიიღეს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601410)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 8 000 (რვა ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში ორჯერ 300 (სამასი) ლარით.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, ასევე დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100);

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში);

ე) შ შ მ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601412)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 70 000 (სამოცდათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა ახლშობილთა ოჯახები (მშობლები), რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მოთხოვნებს და განცხადების წარმოდგენის დროისათვის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში, კერძოდ:

ა) ბავშვის მშობლები, რომლებიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში;

ბ) მარტოხელა მშობელი (დედა ან მამა), რომელიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია, დახმარების ოდენობა

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს ფინანსური დახმარება მიეცემათ თითოეულ ახალშობილზე ერთჯერადად, შემდეგი ოდენობით:

ა) პირველ ახალშობილზე 300 (სამასი) ლარი;

ბ) მეორე ახალშობილზე: 400 (ოთხასი) ლარი;

გ) მესამე ახალშობილზე: 500 (ხუთასი) ლარი.

დ) მეოთხე ახალშობილზე: 600 (ექვსასი) ლარი.

ე) მეხუთე და შემდგომ ახალშობილზე: 800 (რვაასი)

ვ) ტყუპების შემთხვევაში :1500 (ათას ხუთასი) ლარი.

2. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარება გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც ერთ– ერთი მშობელი წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 5. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაცემის წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601411)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 13 000 (ცამეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს და თანადგომა გამოხატოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა

ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 1000 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრის (დედა / მამა, მეუღლე) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საჭიროების შემთხვევაში ქორწინების მოწმობის ასლი ან და დაბადების მოწმობის ასლი;

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

დ) ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი

1. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601413)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

ბ. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

გ. პროგრამის ბიუჯეტი: 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი.

დ. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

ე. პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე 100 (ასი) ლარი ყოველთვიურად.

ვ. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 3. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

მარტოხელა დედების (მამების) სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ყავს 18 წლამდე ასაკის შვილი. (რომელთა შემოსავლები ბოლო ერთი წლის განმავ**ლობაში არ აღემატება 10 000 ლარს).**

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია

ა. განცხადება მერის სახელზე;

ბ. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი;

გ. ბავშვის დაბადების მოწმობა;

დ. მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე. დახმარების მიმღები პირის პირადი ანგარიში;

ვ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბოლო ერთი წლის შემოსავლების შესახებ.

მუხლი 6. მარტოხელა მშობლის დაფინანსების მიღების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

„ანგელოზნი გალობენ და ლხინის ზარებს რეკენ“... „სიზმარი—ზღაპრად ქცეული“

ანუ ყველაფერი იმაზე, როგორ აღაფრთოვანა, გააოცა და გაამხიარულა მოწვეული სტუმრები 13 იანვარს თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საახალწლო ღონისძიებამ.

დიახ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა წინასაახალწლო დღეებში დაგეგმილმა და შემდეგ დიდთოვლობისა გამო გადავადებულმა საღამომ, ასე ძალიან რომ მოუხდა ძველით ახალი წლის—„კალანდობის“ წინა საღამოს...

ეს იყო დიდი პასუხისმგებლობის, ნიჭიერების, ფანტაზიის უნარის, მაღალი გემოვნების მქონე ადამიანების ურთიერთთანადგომის, გუნდურობის შედეგად მიღებული სანახაობა.

ღონისძიების ძალიან ლამაზმა, დახვეწილმა, ორიგინალურმა მოსაწვევმა იმთავითვე დიდი მოლოდინით განაწყო მაყურებელი. ათასგზის ყოჩაღ! ცენტრის აღსაზრდელებს (ღონისძიებაში მონაწილეობდა 170 მოსწავლე), დირექციას, ორგანიზატორებსა და თითოეულ პედაგოგს, რომლებმაც სიყვარულით და თავდადებით თავიანთი ცოდნა და ენერგია ჩადეს ამ ჯადოსნური საღამოს მომზადებაში...

ულამაზესი სანახაობა იშლება მაყურებლის წინაშე. პირველივე სცენა და მერე მთელი სიუჟეტი საუბრობს იმაზე, როგორ იქცევა პატარა ფერიას სიზმარი საახალწლო ზღაპრად... წინასაახალწლო სამზადისი, ფერია და მეზღაპრე, ანიმაციით კოსმოსური ვოიაჟი, ბავშვები გალაქტიკაში, დედამიწის საგანძურთა შორის შერჩეული, ანუ გამარჯვებული „ჩაკრულო“ და ერთადერთი ქვეყნის ბილეთის მქონე უცხოელი მოგზაურები სწორედ ამ სიმღერის სამშობლოში აღმოჩდნენ სტუმრად, რომლებმაც თავიანთი ლამაზი, მხიარული ცეკვით ნამდვილი საახალწლო განწყობა მოიტანეს.

პირველივე წუთებიდან სიხარულით, სითბოთი და სილამაზით ივსება სცენა. ყველაფერი ულამაზესია: მუსიკა, სახლში მყოფი ბავშვების წინასაახალწლო მხიარული ფუსფუსი და სამზადისი, ცეკვა, შემდეგ ანიმაცია ირთვება და კიდევ უფრო სახალისო და საინტერესო ხდება ეს ყველაფერი. დედამიწელებს კოსმოსიდან, სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრად ჩამოსულთ თბილად იღებენ სიყვარულით სავსე სახლში. საქართველოს გასაცნობად კი პირველს ქართულ ცეკვას უჩვენებენ სტუმრებს და როგორც იტყვიან, როცა ქართული ცეკვა იწყება სცენა სხვანაირად ინთება და საქართველო ჩნდება...

სილამაზე და სინარნარე ერთად დაგოგმანობს სცენაზე. საუკეთესო შესრულება, დახვეწილობა და ამაღლებული განწყობა, ქალ-ვაჟის ურთიერთლტოლვა და მოკრძალება, რომელიც სხვა ფასეულობასთან ერთად ამ ცეკვის მარადიული სავიზიტო ბარათია.

სანახაობა გრძელდება. შემდეგ სცენაზე ერთმანეთს ცვლიან ცენტრის სხვადასხვა კლუბების მოსწავლეთა მოცეკვავე ჯგუფები, რომლებიც ცეკვებს დიდებულად ასრულებდნენ: „Do re mi -მუსიკის ჰანგები“; პრინცესების ვალსი; ებრაული ხალხური- „ჰავანა გილა“; Hey nah nah nah-ბელგიური ჯგუფის ჰიტი; „პარიზის ჯაზი“; თოვლისკაცის ცეკვა-„Snowman“.

ახლა ხალხური საკრავების მოსმენის დროა. მეჩონგურე გოგო-ბიჭები თუშური მელოდიების სასიამოვნო პოპურით.

საახალწლო სიმღერის ხმები საამოდ ეფინება სამყაროს, დგება ახალი 2026 წელი და ყველას სიხარული გვავსებს.

„ფიფქები“-ის ლამაზი ჰანგები გოგონების შესრულებით, „სიზმარი ზღაპრად ქცეული“ მართლაც ჯადოსნურია. ამ ჯადოსნურ სადღესასწაულო განწყობას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს საახალწლო სიმღერით ცენტრის მომღერალთა გუნდი „იმერი“. გუნდმა, რომელიც 5 თვის წინ შეიქმნა, დეკემბრის შუა რიცხვებში მრავალხმიანი ჟღერადობით და ულამაზესი შესრულებით გამართულ საანგარიშო კონცერტით ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად დაამახსოვრა თავი მაყურებელს.

შემდეგ სცენას ახალგაზრდა გოგო-ბიჭები იკავებენ და ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების საახალწლო ფიქრებს გვიზიარებენ:

„მობრძანდება 2026 წელი, წელი სიხარულის, წელი ბედნიერების, მშვიდობის და სიყვარულის. ყოველი წელი მყარად დგას წარსულზე, დიდ წინაპრებზე... გლოცავთ ქართველნო ვაჟა, ილია, აკაკი...

ვაჟა: „ახალ წელს მივეგებნოთ ახალის ძალით, მხნეობით, გულწრფელად და ჩავიჭედოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ და რომელი ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონისდაგვარად რაც კი შეგვიძლიან.

რომელი ასპარეზიც უნდა იყოს ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა, თუ ჩვენი ქვეყნისთვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს შინაურ საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით.

აკაკი: „ახალი წელიწადი: იმედი რწმენა, რომ მომავალ წელს შეასრულებს იმას, რაც გასულში არ შეუსრულებია, ანუგეშებს, ამხნევებს, ენერგიას აძლევს ადამიანს: ეს იმედი არის კაცობრიობის წინ წამყენებელი, აღმძვრელი ძალა პროგრესისა“...

ილია: „მაშ ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალ წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მას ჰსურს, ვიმხნეოდ ერთადერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია, მაშ „მხნე იყავ და გაძლიერდი ჩემო სამშობლოვ“—აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა“.

ახალგაზრდა გოგო-ბიჭები შინაარსიანი და ლამაზი მონტაჟით ასრულებენ სათქმელს: „ანგელოზნი გალობენ და ლხინის ზარებს რეკენ“...

„ქრისტეშობის ღამე დგება... ჩვენ გვსურს, მთელ სამყაროს მთელ დედამიწას, მთელ გალაქტიკას და კოსმოსს მივაწვდინოთ ხმა: „ღვთის სიყვარულით აგვავსე სამყაროვ“...

და ბოლოს, საფინალო სიმღერა. პატარა ფერიასთან და მეზღაპრესთან ერთად სცენაზე გამოდის ცენტრის ახალი ხელმძღვანელი ნათია მოსიაშვილი და ანსამბლ „იმერთან“ ერთად ასრულებს სიმღერას: „იმიტომ რომ ქრისტეშობის ღამე დგება“... როცა ნათია და ეს არაჩვეულებრივი ბავშვები მღერიან იქ სიტყვები ზედმეტია... ყველაფერი ამაღლებულია და წარმოუდგენლად ლამაზი.

დასასრულს ცენტრის დირექტორი ნათია მოსიაშვილი მოწვეულ საზოგადოებას მიესალმა და მადლობები არ დაიშურა: **„უღრმესი მადლობა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს, მის აღსაზრდელებს, პროფესიონალ, ერთ მუშტად შეკრულ კოლექტივს, რომელთა დიდი ძალისხმევით გამოვიდა ეს საღამო ასე ლამაზი და მრავალფეროვანი. ამის მიღმა ყველას უდიდესი შრომა და ძალისხმევაა. მადლობა ბავშვებს, მშობლებს.**

მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას მუდმივი თანადგომისათვის“—თქვა მან.

„დღევანდელი დღე საოცრება იყო“- ასე შეაფასა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ ცენტრის საახალწლო ღონისძიება, მან კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ღონისძიების მონაწილე ახალგაზრდების, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის პროფესიონალ პედაგოგთა როლის თაობაზე, რომლებიც უდიდეს საქმეს აკეთებენ თერჯოლელი მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდა-განვითარების საქმეში. მადლობა გადაუხადა თითოეულს, შობა-ახალი წლის დღესასწაულები მიულოცა და სამომავლოდ წარმატებები უსურვა.

ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს და შობა-ახალი წლის დღესასწაულები მიულოცეს მოსწავლე-ახალგაზრდობის პედაგოგებს, აღსაზრდელებს, მათ მშობლებს და შეკრებილ საზოგადოებას: მამა ანდრიამ (ყიფიანი), ნინო ოქრუაძემ-საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ და სხვებმა.

ასე დასრულდა ეს ულამაზესი, შეიძლება ითქვას, ჯადოსნური საღამო.

ანგელოზნი გალობდნენ და მართლაც ლხინის ზარებს რეკდნენ იმ დღეს თერჯოლაში, საახალწლო ზღაპარმა და თითოეულმა სცენამ თუ მონაწილემ აჩვენა, რომ ამ სახლში ისეთი მადლი ტრიალებს სიზმრებიც ზღაპრად იქცევა ხოლმე კი არა და რეალობაა ეს ყველაფერი. აქ ყველა აქტივობა მნიშვნელოვანი, მაღალხარისხოვანი და განსხვავებულია. სიახლეთა ძიება-მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა ცენტრის სავიზიტო ბარათია.

აი ისინი, რომლებმაც ღონისძიების მხატვრული ნომრები მოამზადეს: ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბი, ხელმძღვანელი ნათია გამყრელიძე; რობოტექნიკის კლუბი—ერეკლე კირკიტაძე; თარჯიმანთა ინგლისურენოვანი კლუბი—თეონა პეტრიაშვილი; ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“—ვიტალი და მანუჩარ ლაღაძეები, ზაურ სვანიძე; მკითხველთა კლუბი—სალომე ისაკაძე; „ნეკა“—ლალა კუპატაძე; ქართული ენის შემსწავლელი კლუბი—მაკა ონიანი; კულინართა კლუბი—ლელა თორთლაძე; ხალხურ საკრავთა გუნდი „იმედი“—ზურაბ რიჟამაძე; კინო-ჟურნალისტიკის კლუბი—ანა რობაქიძე; ფოლკლორული ანსამბლი „იმერი“—ბესიკ გოგოლაშვილი; ივენთ კლუბი—რუსუდან კოვზირიძე.

მოსწავლეთა ცენტრის ხელმძღვანელის, დირექციის, თითოეული თანამშრომლის, პედაგოგის თავიანთ პოზიციაზე, გადანაწილებულ დავალებებზე, კონკრეტულ საქმეზე მაღალი პასუხისმგებლობით მიდგომამ დადო ის შედეგი, რომლის მიღმაც დაუღალავი შრომა, ფიქრი თუ უძილო ღამეები- იყო.

დარწმუნებული ვართ იმ საღამოს ყველა სტუმარმა ნამდვილად ისიამოვნა, ძველით წინა საახალწლო განწყობა შეიქმნა და ტკბილეულით ხელდამშვენებულიც დაუბრუნდა ოჯახს, რომელიც ყველამ მიიღო საჩუქრად.

მზია ცქიფურიშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601414)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 20 000 (ოცი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბენეფიციარს თვეში - 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ:

ა) განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ;

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში;

დ) დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 6. დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601416)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დასახელება

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის ფარგლებში განხორციელებული ოპერაცია;

ბ) საყოველთაო პროგრამით ან კერძო დაზღვევით დაუფინანსებელი ოპერაცია;

გ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება;

დ) გამოკვლევები.

2. არ დაფინანსდება:

ა) ესთეტიკური მიზნით ოპერაციები;

ბ) საკეისრო კვეთა;

გ) მკურნალობა.

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის ასანაზღაურებელი თანხიდან:

ა) 1000 (ათასი) ლარამდე თანხის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 50% ით;

ბ)1001 (ათას ერთი) ლარიდან 3000 (სამი ათასი) ლარის ჩათვლით 800 (რვაასი) ლარით;

გ) 3001 (სამიათას ერთი) ლარიდან 5000 (ხუთი ათასი) ლარის ჩათვლით 1000 (ათასი) ლარით.

დ) 5001 (ხუთიათას ერთი) ლარიდან ზემოთ 1500 (ათას ხუთასი)ლარით.

2. მოქალაქეების მეორედ მომართვის შემთხვევაში, რომელთა მატერიალური შემოსავალი ფიქსირდება 10 000 ლარი და მეტი დახმარება არ გაეწევათ.

3. არასრულწლოვნის (18 წლამდე) მეორედ სარგებლობის შემთხვევაში, თუ ორივე მშობლის შემოსავალი ფიქსირდება 10 000 (ათი ათასი) ლარი და მეტი დახმარება არ გაეწევა.

4. მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში, ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობის გამოთხოვას შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მერიამ.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია

1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა, (გამონაკლის შემთხვევაში როდესაც არ იძებნება ერთ-ერთი მშობელი) არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი / პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100);

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია,) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, დაუფინანსებელი თანხის მოცულობის ჩვენებით;

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში);

ე) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ, ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია;

ვ) კერძო დაზღვევის შემთხვევაში მოქალაქემ წარმოადგინოს ცნობა საყოველთაო დაზღვევიდან თანხმობის ან უარის შესახებ;

ზ) მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში, ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში);

თ) მინდობით აღზრდის შემთხვევაში, მინდობი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 7. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თანადაფინანსების შესახებ წერილის პროექტს.

2. სამედიცინო მომსახურეობის ღირებულების თანხიდან დაფინანსებული იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულების სრული ნუსხა, რომლის საფუძველზეც გამოიცემა მერის ბრძანება.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601415)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 120 000 (ასოცი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ფინანსური ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად, სარგებლობენ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა (ფორმა 100) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამჯდომარე

„ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“

დამთავრდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტი „ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“. გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრაც. ამ შეხვედრის და რამდენიმე ღია გაკვეთილის შესახებ მომავალ ნომრებში მოგითხრობთ.

„ანბანი მობრძანდება“

თერჯოლის №1 (დირექტორი ელისო მურადაშვილი) საჯარო სკოლის პირველ კლასში ღია გაკვეთილი ქართული ენის მასწავლებელმა თამარ ყიფიანმა ჩაატარა. გაკვეთილის თემა—ასო-ბგერა—„ა“ და „ი“. „აი-ია“. თავიდანვე შეიქმნა საზეიმო განწყობა, რათა ეს გაკვეთილი დასამახსოვრებელი ყოფილიყო პატარებისათვის. წინარე ცოდნის განმტკიცების მიზნით, მოსწავ-

ლეებმა შეძლეს „ი“ და „ა“ ასო ბგერების ამოცნობა, გამოთქმა, მოხაზვა და კითხვა, ანბანისადმი ინტერესის გაღვივება და ემოციური ფონის გააქტიურება. მათ დრეკადი მავთულით დაამზადეს „ა“ და „ი“, შეძლეს მათი გამოყოფა სიტყვიდან.

გამოიკვეთა, რომ პირველკლასელებმა წარმატებით გაიარეს წინასაანბანო პერიოდი, შეგუების ეტაპი ახალ გარემოსთან და მზად არიან დაიწყონ წერა-კითხვა. გაიხსენეს თუ რა ცოდნა მიიღეს წინასაანბანო პერიოდში, მათ კარგად იციან ქცევის წესები, წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები. კითხვაზე—რატომ უნდა ვისწავლოთ წერა-კითხვა ქართულად, გაიხსენეს საქართველოს კუთხეები და ლექსებით მოეფერნენ სამშობლოს და ქართულ ენას. გულთბილად მიიღეს „ჟირაფი“ ჟოზე და იმღერეს სიმღერა ქართული ანბანი. პირველკლასელებმა ჯერ წერა-კითხვა არ იციან, მაგრამ იციან და გაიხსენეს რამდენი ასო-ბგერაა ქართულში, არჩევენ ხმოვნებს, თანხმოვნებს, იციან წინადადების მნიშვნელობა, შემადგენლობა, სიტყვა, მარცვალი, წესები მარცვლებზე და გრაფიკულად გამოსახავენ.

მოსწავლეებმა ბევრი იციან დედაენის შემქმნელ, დიდ იაკობ გოგებაშვილზე, გაიხსენეს, მოისმინეს მასწავლებლის საუბარი ქართული დამწერლობის და დედაენის შექმნაზე. იყვნენ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში, გამოიყენეს რესურსი—ხელნაკეთი დედაენის წიგნი, იაკობის ფოტო, ვიდეომასალა. მოისმინეს ხელოვნური ინტელექტის პროგრამის მიერ აწყობილი გოგებაშვილის მისალმება, დალოცვა და მილოცვა. გაიხსენეს ლექსები დედაენაზე, იაკობ გოგებაშვილზე.

ლექსით „ანბანი მობრძანდება“ მოუხმეს ქართულ ანბანს და შეასრულეს სიმღერა. მასწავლებელმა გასაგებად ახსნა, რომ თითო-თითო ასობგერის შესწავლით აშენდება მათი ქართული მეტყველება. 33 ასო-ბგერას რომ შეისწავლიან ეცოდინებათ წერა-კითხვა. ჯადოსნური ყუთიდან ამოიღო ქოთნის ია და ასო-ბგერები. მასწავლებელი ხსნის, რომ ეს ნაზი ყვავილი იქნება მათი მეგზური. მასწავლებელი დაფაზე აკრავს და აცნობს მოსწავლეებს პირველ ჯადოსნურ „ი“ და „ა“-ს. წააკითხებს, დაამარცვლინებს, გაიხსენებენ ამ ასოებით დაწყებულ სიტყვებს, შემდეგ წყვილებში ერთჯერად თეფშებით ააწყობენ წინადადებებს—აი ია, რაც ჯგუფური მუშაობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებმა შეასრულეს სიმღერა—„ანი, ბანი, განი“.

მასწავლებელმა შეაფასა მოსწავლეები.

მადლიერება და მისი მნიშვნელობა

სიქთარვის საჯარო სკოლის მე-11 კლასში ღია გაკვეთილი თემაზე „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე“ (მადლიერება და მისი მნიშვნელობა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სკოლის დირექტორმა და საგნის მასწავლებელმა ია კვატაიამ ჩაატარა.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ გააცნობიეროს მადლიერების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში, შეძლოს საკუთარი ემოციისა და დამოკიდებულების გამოხატვა, მოიძიოს მაგალითები ლიტერატურიდან, ისტორიიდან, ყოველდღიურობიდან, განივითაროს სულიერი ღირებულებები და ემპათია, მოსწავლეებისათვის თავიდანვე გახდა ცნობილი. გაკვეთილის პირველი ნაწილი მოტივაციას დაეთმო. მოისმინოს მცირე ლექცია სიკეთისა და მადლიერების მნიშვნელობაზე. დაისვა კითხვები: რატომ უკავშირდება მადლი ქვას? მადლიერება უფრო სიტყვაა თუ ქცევა? რა გრძნობასა და ემოციას იწვევს თქვენში სიტყვა მადლი? გაიხსენეთ ბოლოს როდის თქვით გულიდან წამოსული მადლობა, გაიხსენეთ სიკეთე, რომელიც მიიღეთ მოულოდნელად.

მოსწავლეებმა დასმულ შეკითხვებს უპასუხეს და ბევრი აღმოაჩნდათ გასახსენებელი. შემდეგ მასწავლებელმა აჩვენა სამწუთიანი ფილმი სიკეთეზე, გაიმართა მსჯელობა—თუ რა ემოცია აღძრა ფილმმა. გაკვეთილის მეორე ნაწილში მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია, რითაც გაიუმჯობესეს ცოდნა. მოსწავლეები გაიყვნენ სამ ჯგუფად: ლიტერატორები—რომლებმაც წარმოადგინეს პრეზენტაცია მადლიერების მაგალითებზე ლიტერატურიდან; ფსიქოლოგები—რომლებმაც წარმოადგინეს პრეზენტაცია, როგორ მოქმედებს მადლიერება ადამიანზე; შემოქმედებითმა ჯგუფმა წარმოადგინა პოსტერები და ბუკლეტები მადლიერების თემაზე.

გაიმართა დებატი თემაზე—„ბრძოლა იქ მთავრდება, სადაც მადლიერება იწყება“. ინტერაქტიული აქტივობის „მადლიერების ხე“ შესასრულებლად მოსწავლეებმა ფერადი ფურცლებისაგან გამოჭრილ ხელებზე დაწერეს ვისი მადლიერნი არიან, მიაწებეს იგი წინასწარ გამზადებულ ილუსტრაციაზე.

წარმოადგინეს რესურსი—მადლიერების სკივრი, რომელსაც განათავსებენ სკოლაში, თვალსაჩინოთ, ნებისმიერ მსურველს ექნება შესაძლებლობა, ჩადოს მათში ბარათი, რისი ან ვისი მადლიერი იყო იმ კონკრეტულ დღეს. დათქმულ დროს სკივრი გაიხსნება. მოსწავლეებმა წაიკითხეს გალაკტიონის ლექსი.

გაკვეთილზე გამოიყენეს მრავალი რესურსი.

„ჩემი სამშობლო საქართველოა“

ჩხარის №2 საჯარო სკოლაში (დირექტორი ნუკრი კობახიძე), ღია გაკვეთილი საგანში „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ IV კლასში ჩაატარა პედაგოგმა ნანა ნიკოლაძემ. გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა გაიღრმავონ ცოდნა საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ, ხელი შეუწყოს საქართველოს მრავალფეროვანი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის პატივისცემასა და

დაფასებას, გააცნობიეროს სამშობლოს მნიშვნელობა, განუვითარდეს სურვილი საქართველოს მიმართ, შეძლოს სამშობლოს თემის გადმოცემა ფერებით, სიმბოლოებით, აპლიკაციით, განუვითარდეთ თანამშრომლობისა და პრეზენტაციის უნარებით—მოსწავლეებმა გაიაზრეს და მიზანსაც მიაღწიეს.

გაკვეთილის თემის და მიზნის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდა მცირე ინფორმაცია სამშობლოზე, ხოლო მოსწავლეები ამბობდნენ ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს სამშობლოზე. ამ დროს მოსწავლეებს შექმნილი ჰქონდათ მამოტივირებელი გარემო. (ვიდეოკოლაჟი: ეროვნული სამოსი, ქართული ღირსშესანიშნაობები). თამაშის „რას გავს ჩემი სამშობლო“—მოსწავლეებმა საინტერესო პასუხები გასცეს (ნახეს სლაიდი საქართველოს კუთხეებზე, ცეკვებზე, ტრადიციებზე). შეასრულეს პრაქტიკული სამუშაო. დაისვა კითხვა: თქვენ როგორ ხედავთ თქვენი თვალით და პატარა გულით საქართველოს, როგორ გინდათ წარმოაჩინოთ თქვენს ნახატებში? მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია „ჩემი სამშობლოს ხე“, იმსჯელეს კითხვაზე: რა განასხვავებს სახვითი ხელოვნების დარგებს ერთმანეთისაგან. აქტივობების და პრეზენტაციების შემდეგ მასწავლებელმა შეაფასა მოსწავლეები; მიეცათ საშინაო დავალება: მოიძიონ რაიონში, სოფელში არსებული მრგვალი და რელიეფური ქანდაკების ნიმუშები, დაამზადონ მცირე ზომის ქანდაკებები ან რელიეფები, გამოიყენონ პლასტილინი ან თიხა.

მოსწავლეებმა შეძლეს სახვითი ხელოვნების დარგების ერთმანეთისაგან განსხვავება. მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით შეუძლიათ ინდივიდუალურად შეასრულონ პრაქტიკული სამუშაო და წარადგინონ კლასის წინაშე.

მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ და მონაწილეობდნენ გაკვეთილის პროცესში, გასაგებად აყალიბებდნენ სათქმელს, მსჯელობდნენ გამართულად, აქტიურად ერთვებოდნენ პრაქტიკულ მუშაობაში. აღწერდნენ ნამუშევრებს, იცავდნენ დროის ლიმიტს.

რობოტები და მათი პროგრამირება

ეწრის საჯარო სკოლაში (დირექტორი მირანდა ჟორჟოლაძე), ღია გაკვეთილი საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები, მეოთხე კლასში თემაზე „რობოტები და მათი პროგრამები“ პედაგოგმა თეა დოლაკიძემ ჩაატარა.

გაკვეთილის მიზანი, მოსწავლეებმა გაიგონ რა არის რობოტი, როგორ მუშაობს იგი, რისგან შედგება და როგორ შეიძლება მისი პროგრამირება, თავიდანვე გახდა ცნობილი.

გასაგებად ახსნა მასწავლებელმა რა არის რობოტი, რით განსხვავდება იგი ჩვეულებრივი მანქანისაგან, აღწერა რობოტის ძირითადი ნაწილები (სენსორი, ძრავი, კონტროლერი) პრაქტიკულად ააწყო მარტივი რობოტი, შექმნა პროგრამა, რომელმაც აამუშავა რობოტი.

პირველი აქტივობა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. კითხვებს: უნახავთ თუ არა რობოტი და სად, რა შეიძლება მას დაავალონ, როგორ მუშაობენ, რით განსხვავდებიან ისინი ჩვეულებრივი მანქანისაგან, ვინ წერს რობოტისათვის პროგრამას. ამ კითხვებს მოსწავლეებმა სწორი პასუხები გასცეს. განხორციელდა სხვა აქტივობები: მოსწავლეებმა ნახეს ფოტოები და შეძლეს რობოტის დანიშნულების ამოცნობა, სხვადასხვა სახის რობოტების ჩვენებისას ამოიცვნეს რობოტის დანიშნულება, აღწერეს ისინი. შეასრულეს პრაქტიკული დავალება: შეადგინეს ცხოვრებისეული ალგორითმები—ჰამბურგერის ალგორითმი, ხალიჩაზე რობოტის გადაადგილების ალგორითმი.

მოსწავლეებმა ინტერესით მოისმინეს ახალი მასალა—რობოტის ნაწილები: სენსორი. გრძნობს გარემოს, ძრავი (მოტორი) ამოძრავებს ნაწილებს. კონტროლერი უკავშირდება კომპიუტერს და იღებს ბრძანებებს, პროგრამა—ბრძანებების თანამიმდევრობა, რომლის მიხედვითაც რობოტი მოქმედებს.

გაკვეთილის პრაქტიკული ნაწილისათვის მოსწავლეები მუშაობდნენ ჯგუფებად, ააწყვეს მოდელი, დაუკავშირეს აპლიკაციას, შექმნეს მარტივი პროგრამა: რობოტმა იმოძრავა, გამოსცა ხმა, ფერები იცვალა ნათურამ.

„საწერი საშუალებები ძველად“

ახალთერჯოლის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნინო თოდიძე) ღია გაკვეთილი VI კლასში თემაზე „საწერი საშუალებები ძველად“ ქართულ ენასა და

ლიტერატურაში პედაგოგმა მელანო გაბეხაძემ ჩაატარა. თავიდანვე გამოიკვეთა გაკვეთილის მიზანი—როგორ და რა საშუალებებით წერდნენ სხვადასხვა ეპოქაში, შეადარონ ერთმანეთს ძველი და თანამედროვე საწერი საშუალებები, შეძლონ საწერი საშუალებების დამზადება.

საკლასო ოთახი გაფორმებული იყო სხვადასხვა დროს შესრულებული ხელნაწერების ფოტო მასალებით, წარმოდგენილი ჰქონდათ მრავალი რესურსი. მოსწავლეებმა მასწავლებლის კითხვას—თუ რა გახდა ამ თემაზე გაკვეთილის ჩატარების შთაგონების წყარო და კარგად გადმოსცეს ლევან გოთუას მოთხრობა „ქვის დედა-ენა“, გაიხსენეს რა საწერი საშუალებებია მათთვის ცნობილი. ახალი მასალის ახსნისას პროექტორის საშუალებით მოსწავლეებმა ნახეს საწერი მასალის, საღებავებისა და საწერი იარაღების დამზადების შესახებ, დაამზადეს მელანი, ორკარედი (დიპტიხი), რომელიც გასანთლეს, ნახეს კალმები, დაამზადეს სპეციალური წებო, რომლითაც პაპირუსის ფურცლებს აწებებდნენ ერთმანეთს, მოხატეს ლურჯი სუფრა.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენირება მოთხრობიდან „ქვის დედა-ენა“ თუ როგორ ასწავლა ედიშერ მწიგნობარმა ბიჭს ხიმშის ქვაზე წერა...

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601417)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები: ა) იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები;

ბ) ობოლ ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე);

გ) სამ და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000);

დ) იშვიათი და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა ოჯახები;

ე) გადაადგილება შეზღუდული შშმ პირთა ოჯახები;

ვ) ვეტერანთა ოჯახები;

ზ) მარტოხელა პირები;

თ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი (რომელთა შემოსავალი ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 10 000 ლარს);

ი) სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000);

კ) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები;

ლ) დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული ბენეფიციარები;

მ) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომლებსაც შეუსრულდათ 100 ან მეტი წელი.

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა

1). თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების, მარტოხელა პირების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ოდენობაა - 100 ლარი, წელიწადში ერთჯერადად.

2) ობოლ ბავშვთა ოჯახების (18 წლამდე), შშმ პირთა ოჯახების, ვეტერანთა ოჯახების დახმარებაა - 150 ლარი, ერთჯერადად.

3) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები დაავადების სიძიმის მიხედვით 100 / 150 ლარი, სამი და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი) და სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000) დახმარებაა - 150 ლარი, წელიწადში ერთჯერადად.

4) დაუნი, აუტიზმი, იშვიათი დაავადების მქონე და ონკოლოგიურ ბენეფიციართა ოჯახთა დახმარების ოდენობა განისაზღვრება-250 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

5) მოქალაქეებს, რომლებსაც შეუსრულდათ 100 ან მეტი წელი, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაეწიოს ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავადმყოფობის შემთხვევაში, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100/ა), გაცემული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

გ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია. რომელიმეს მიერ, ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია;

დ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

ე) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში);

ვ) სოციალურად დაუცველთა შემთხვევაში, ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი

1. ამ განკარგულებების მე-4 მუხლის 1, 2 ,3 პუნქტების თანახმად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, ხოლო მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად წარდგენილ განცხადებებს განიხილავს და შესაბამის ბრძანების პროექტს ამზადებს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე, პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ, თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გადაწყვეტილებას იღებს მოსახლეობა!

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2026“

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები იწყება. დასახლების საერთო კრება, ეტაპობრივად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდება და მოსახლეობა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პრიორიტეტულ პროექტებს აირჩევს.

საერთო კრებები და კონსულტაციები 2026 წლის 9 თებერვლიდან - 13 თებერვლის ჩათვლით გაიმართება.

კრებებისა და კონსულტაციების გრაფიკი იხილეთ ჩვენი გაზეთის ფეისბუქ გვერდზე „გაზეთი თერჯოლა“ და მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქ გვერდზე.

მოსახლეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში მოგითხრობთ.

თერჯოლელი მოჭადრაკეების პირველი წარმატებები ახალი, 2026 წლის პირველ დღეებში

9-15 იანვარს, ქ. ქუთაისში, გაიმართა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, სადაც წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის სპორტული სკოლის მოჭადრაკეებმა. მეხუთე თანრიგოსან გოგონათა შორის **ქეთევან** და **თამარ კლდიაშვილებმა** 7-7 შესაძლებლობიდან, მოიპოვეს 5-5 ქულა და შეასრულეს მეოთხე თანრიგის (ბაღი) ნორმატივი.

აღნიშნულ ტურნირზე **ტაისია ტყავაძემ** (კერძო სკოლა „მზეკაბანი“) მოიპოვა ვიცე ჩემპიონობა. ტურნირის გამარჯვებული კი გახდა ქრისტინე ქათამაძე (საზანოს საჯარო სკოლა).

რვა წლამდე გოგონათა შორის, 7-დან 6-6 ქულით, პირველ-მეორე ადგილი გაიყო ხონელ მოჭადრაკესთან ერთად **ლილიანა ტყავაძემ.**

წარმატებას ვულოცავთ მოსწავლეებს და მათ მწვრთნელს, ეროვნული ოსტატობის კანდიდატს ჭადრაკში გია ჭუმბურიძეს, თერჯოლის საჭადრაკო სკოლის სხვა წარმომადგენლებს, მოსწავლეთა მშობლებს და ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს.

„თერჯოლა“

მამის ხსოვნას

ემზარ კლდიაშვილი

არ გვეგონა ცხოვრება თუ ასე გაგვწირავდა. რამდენიმე წლის წინ დავკარგეთ დედა (ნანა)—ჩვენი იმედი, საყრდენი და მესაიდუმლე. ქალი, რომელიც ყოველთვის მზად იყო მეზობლის, მეგობრის, ნათესავის თუ ნაცნობ-უცნობის თანადგომისათვის.

ამ ახალი წლის წინა დღეებში კი მამაც გარდაგვეცვალა, ჩვენი კიდევ ერთი დიდი იმედი.

ემზარ! შენ მამაც იყავი ჩვენთვის და ძმაც. ნატრობდი მშვიდობასა და ჯანმრთელობას, ოჯახის სიძლიერეს და მის გამრავლებას უპირველესად. ვერ აგისრულეთ ეს ნატვრა. ისე დაგვტოვე, რომ შვილიშვილებსაც კი ვერ მოესწარი.

ძალიან გვაკლიხარ, მარტო დავრჩით ოჯახში...

სიცარიელეა ჩვენს გარშემო...

დაგვლოცე იმიერიდან, რომ ფეხზე მყარად ვიდგეთ, გავაძლიეროთ და გავამრავლოთ ჩვენი ოჯახი და გვარი...

შვილები გიგა და იაგო კლდიაშვილები

ჩემი ბავშვობის მეგობარი, ემზარ კლდიაშვილი გარდაიცვალა...

დიდად მეტკინა გული და სული, ჩვენ ხომ შვიდ ათეულ წელზე მეტი ერთად გავატარეთ. კარგად მახსოვს სულ პატარა იყო, სრულიად ახალგაზრდა დედა, განუმეორებელი სილამაზის ქალბატონი ეთერი რომ გარდაეცვალა.

დრომ და ჟამმა ჩვენ ბევრი გამოცდა მოგვიწყო... სიცოცხლე სწყუროდა და უნდოდა, მაგრამ არ დასცალდა...

მარადიული ნათელი მას...

დავით კლდიაშვილი

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის პედაგოგს ნინელი სულამანიძეს ძმის

ომარ სულამანიძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ჯონდო გურული

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში

1☞

სცენაზე პირველები ფოლკლორული ანსამბლ „იმერეთის“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), წევრები გამოდიან და უკვდავ საშობაო სიმღერას „ალილოს“ ასრულებენ.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიან ფოლკლორული ანსამბლები „იმერეთი“, „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე), ქალთა ანსამბლი „იამე“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), სამუსიკო სკოლის ანსამბლი „ჭიუხი“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი და რამაზ მემანიშვილი), მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ანსამბლი „იმერი“—ხელმძღვანელი ბესიკ გოგოლაშვილი, ქორეოგრაფიული ანსამბლები „იმერეთი“, „საპოვნელა“ (ხელმძღვანელი გოჩა ჭანკვეტაძე, ქორეოგრაფები: ირინა ბუცხრიკიძე, გიორგი ჭანკვეტაძე), „ბერიკონი“—მოსწავლე-ახალგზერდობის ცენტრთან არსებული (ხელმძღვანელები ზაურ სვანიძე, მანუჩარ და ვიტალი ლაღაძეები), თუზის საჯარო სკოლის ანსამბლი „შევარდენი“ (ქორეოგრაფი თორნიკე ჭანტურიძე), თერჯოლელთა საამაყო მომღერლები: ვალერი და რამაზ კუბლაშვილები, გულთამზე კუბლაშვილთან ერთად.

კონცერტი გაალამაზეს აგრეთვე ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა: გიორგი ჭანკვეტაძემ, თენგულიკა ქოჩიაშვილმა, 7 წლის რეპერმა ქეთევან ბუცხრიკიძემ, ნანო სოფრომაძემ.

თერჯოლელ ხელოვანთა, მომღერალ-მოცეკვავეთა ნიჭიერებასა და შემოქმედებით უნარს საზღვარი არ აქვს, ეს ამ საღამომაც დაადასტურა, ისიც კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები არის ხელოვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.

კონცერტის დასრულების შემდეგ შეკრებილი საზოგადოება დალოცა და შობა-ახალი წლის დღესასწაულები მიულოცა თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტმა, **მეუფე გიორგიმ (შალამბერიძე)** და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა **მანუჩარ რობაქიძემ,** რომელმაც მოკლედ შეაფასა გასულ წელში მუნიციპალიტეტის საქმიანობა, აღნიშნა, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი წინსვლის წელიწადი როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და ეკონომიკური განვითარების მხრივ, ასევე განათლების, კულტურის და სოციალურ სფეროში. ჩვენმა ხელოვანებმა მომღერალ-მოცეკვავეებმა, სპორტსმენებმა თუ სხვა ნიჭიერებით გამორჩეულმა ადამიანებმა თავიანთი წარმატებებით არა ერთხელ ასახელეს თერჯოლა.

ბატონმა მანუჩარმა მადლობა გადაუხადა ყველა თანამებრძოლს, განსაკუთრებით აღნიშნა და მადლობა უთხრა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს და მის ხელმძღვანელს მაკა ასათიანს.

ამასობაში საათის ისარი 12-ს მიუახლოვდა, ლამაზმა ფეიერვერკებმა თერჯოლას ძველით ახალი წლის დადგომა ამცნო.

სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლაში

კიდევ ერთი ულამაზესი ვერნისაჟი სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლაში, სადაც წელს მოსწავლეთა უპრეცედენტო რაოდენობაა. შესაბამისად დატვირთულია საგამოფენო სივრცე. ნორჩ მხატვართა ნამუშევართა სიმრავლე-მრავალფეროვნება ლამაზ სამყაროში ამოგზაურებს მრავალრიცხოვან დამთვალიერებლებს. აქ უხვადაა ფერწერა, გრაფიკა, პეიზაჟი, ნატურალური, გამოყენებითი ხელოვნება, საახალწლო აქსესუარები.

მოსწავლეთა ნამუშევრებში დომინირებს ზამთრის პეიზაჟები, თოვლის ფიფქები, შამპანურით შევსებული ჭიქები და ა.შ. და ა.შ. ულამაზეს ფერებშია ეს ყველაფერი გადმოცემულ-გამოხატული, ანუ გაცხადებულია ნორჩი მხატვრების ფანტაზია და შემოქმედებითი უნარის ნაყოფი.

შეკრებილ დამთვალიერებლებს, სტუმრებს, სკოლის აღსაზრდელებს მიესალმა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა თითოეულ აღსაზრდელს, მათ მშობლებს. მადლობა გადაუხადა აგრეთვე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას თანადგომისათვის და აღნიშნა, რომ ამ სკოლის წარმატება და მისი მიღწევები სწორედ მათი მხრიდან სათანადო დახმარება-თანადგომით არის განპირობებული. ისაუბრა თერჯოლელ მოსწავლეებში ამოუწურავ ნიჭიერებაზე და ამ სკოლიდან გზაგაკვალულ არქიტექტორებზე, დიზაინერებსა თუ ხელოვნების ისტორიის შესწავლით დაკავებულ ახალგაზრდებზე, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა ადგილას მოღვაწეობენ.

სამხატვრო სკოლის საახალწლო გამოფენაზე მოვიდნენ და სკოლას,

გამოფენის მონაწილეებს და შეკრებილ დამთვალიერებლებს შობა-ახალი წელი და გამოფენის გახსნა მიულოცეს მამა ანდრიამ (ყიფიანი), სოსო ჩაფიჩაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, შორენა ბოჭორიშვილმა, სახელოვნებო განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილე, ვალერი კუბლაშვილმა, სამუსიკო სკოლის დირექტორი, სოფო ბანძელაძემ, მშობელი, გოჩა ჭანკვეტაძემ, ქორეოგრაფიული ანსამბლების ხელმძღვანელი, მანუჩარ რობაქიძემ, მუნიციპალიტეტის მერი, თეა რიჟამაძემ, ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი, ნინო ჩხიკვაძემ, სამხატვრო სკოლის პედაგოგი.

დასასრულს სკოლის აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრებიც გადასცეს.

სამი წელია თერჯოლაში ხალხმრავალი საშობაო ღონისძიება „ალილო“ იმართება, რომელსაც სამივე წელია უერთდება და ალამაზებს სამუსიკო სკოლის მომღერალთა ანსამბლი „ჭიუხი“ (ხელმძღვანელები გულთამზე კუბლაშვილი, რამაზ მემანიშვილი).

ამ წელსაც, ისე როგორც წინა წლებში, ანსამბლმა „ალილოს“ მონაწილე სხვა მომღერლებთან ერთად სათანადო „საალილო“ ჩაცმულობით და სიმღერის საუკეთესო შესრულებით გაალამაზეს საშობაო დღესასწაული, რომელსაც სხვა შინაარსი და სხვა დატვირთვა აქვს, ამიტომაც „ალილოსთვის“ სამზადისი და მასში მონაწილეობა მეტად საპასუხისმგებლოა და მნიშვნელოვანი, ამავე დროს სახალისო „ჭიუხის“ თითოეული წევრისათვის.

ანსამბლმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ლამაზი რეპერტუარით და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით ყველა კონცერტსა და ღონისძიების დღესასწაულად აქცევს. ასე იყო ამჯერადაც.

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
RESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872